ქართული განძეულობა

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მოხსენება

15 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში მოხსენება გააკეთა საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ქართული განძეულობის მიმღები კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ.

მომხსენებელმა უამბო დამსწრეთ, რომ განძეულობა, რომელიც ამჟამად დაუბრუნდა საქართველოს, 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ იყო გატაცებული.

ეს განძეულობა წაიღეს საქართველოს მთელი რიგი მუზეუმებიდან, სახელმწიფო დაწესებულებათა საცავებიდან, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინის ადგილობრივი განყოფილებებიდან, სადაც მიბარებული იყო სხვადასხვა საეკლესიო და სამონასტრო ქონება, გარდა ამისა, თვით მონასტრებიდან, სახელდობრ მარტვილიდან, ხობიდან, გელათიდან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ განძეულობამ გამოიარა სრულიად განსაკუთრებული ოდისეა, ვიდრე თავის ნამდვილ პატრონს დაუბრუნდებოდა. საქართველოს სამუზეუმო განძეულობის საკითხი იმთავითვე მოექცა საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების არეში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წყალობით შექმნილმა პირობებმა უზრუნველყვეს, რომ ეს ყურადღება არასდროს არ შენელებულიყო. მაშინ როდესაც საქართველოდან გატაცებული იყო განძეულობა, საბჭოთა მთავრობამ საქართველოს დაუბრუნა სსრ კავშირის ცენტრალურ ქალაქებში დაცული ქართული სამუზეუმო ფასეულობანი. თვით საქართველოში უმაგალითო ენთუზიაზმით სწარმოებდა სამუზეუმო ქონების შეგროვება.

არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც ასეთი დიდი მასშტაბით [illegible] საბჭოთა ხელისუფლების დროს მოეწყო, გადაიქცა იმ წყაროდ, რომელმაც ჩვენს მუზეუმებს დიდი რაოდენობით შესძინა სწორუპოვარი, უბადლო მნიშვნელობის ახალი ისტორიული ძეგლები. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ გატანილი ძეგლები კვლავ ყურადღების ცენტრში იყო. ამ ძეგლების საკითხის რადიკალურად გადაწყვეტა შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხალხის შეიარაღებულმა ძალებმა, მისმა სახელოვანმა წითელმა არმიამ დაამხეს ფაშისტური ტირანია ევროპაში და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას ახალი მტკიცე დასაყრდენი შეუქმნეს.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა თვით ძეგლებზე, რომლებიც განძეულობაში შედიან.

ამ განძეულობაში, — სთქვა მან, — წარმოდგენილია სამუზეუმო ექსპონატების თითქმის ყველა სახეობა: არქეოლოგია, ფეოდალური ხანის ხელოვნება, XIX საუკუნის ქართული ხელოვნება, ეთნოგრაფია, ხელნაწერი წიგნები, ხელნაწერი საბუთები, ძველი ნაბეჭდი წიგნები, ქსოვილები, ნუმიზმატიკური კოლექციები, სურათები და სხვა.

პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნას ახალგორის განძი, აღმოჩენილი ამ საუკუნის დამდეგს ქსნის ხეობაში და ნაწილობრივ გადარჩენილი დაღუპვას. ახალგორის არქეოლოგიური განძი არის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი განძთაგანი. ამიერიდან საქართველოს ძველი ისტორია, კერძოდ ხელოვნების ისტორია შეუძლებელია დაიწეროს ისე, რომ იქ დიდი ადგილი არ დაეთმოს ამ ნივთებს. ეს ძეგლები ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნით თარიღდება.

გარდა ამ კოლექციისა, საქართველოს დაუბრუნდა მთელი რიგი სხვა კოლექციები, ასეთებია სტეფანწმინდის კოლექციები, შესანიშნავი ნივთები სარგვეშიდან, ქსნიდან, მთელი რიგი ნივთები მცხეთიდან, მცხეთის რაიონიდან და მრავალი სხვა ადგილიდან.

უხვად არის წარმოდგენილი ნუმიზმატიკა. სულ საქართველოს დაუბრუნდა 10.000-მდე მონეტა, რომელთა შორის არის იშვიათი და უნიკალური ფულები.

შესანიშნავი ძეგლებია წარმოდგენილი ფეოდალური ხანის ჭედური ნივთების, კერძოდ ოქრომჭედლობის ძეგლების სახით.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა სხვა იმ უბადლო ძეგლებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ნამდვილ სიამაყეს წარმოადგენენ. ასეთებია: თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი თავისი ბუდით; ოქროს ჯვარი, სამღვდელმთავრო მინანქრიანი, ძვირფასი თვლებით VIII-IX საუკუნით დათარიღებული; ჯვარი მინანქრიანი X-XI საუკუნისა; პანაგია მინანქრიანი XI საუკუნისა; ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი ოქროჭედილი, მინანქრით; ოქროს ხატი მაცხოვრისა; სახელგანთქმული მინანქრის ხატი შემოქმედიდან; დავით III კურაპალატის ჯვარი წარწერით; წმიდა მამას რელიეფური გამოსახულება ვერცხლის დისკოზე — გელათიდან; ალავერდის ოთხთავის ყდა ჭედური მინანქრით; შესანიშნავი ძეგლები ჩვენი სახელოვანი ოსტატებისა, ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა; წყაროსთავის და ბერთის ოთხთავების ყდა; დავით IV აღმაშენებლის ჯვარი წარწერით და მრავალი სხვა ძეგლი.

მათ შორის მომხსენებელმა აღნიშნა შესანიშნავი კოლექცია ქართული სუფრის ჭურჭლისა, უმთავრესად ვერცხლისა, რომელიც სამეგრელოს მთავართა ოჯახს, კერძოდ დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის ასულის ოჯახს ეკუთვნოდა.

ჩამოვიდა მთელი რიგი ნივთები, რომლებიც ცნობილ ისტორიულ პირებს ეკუთვნოდათ. ასეთებია განსაკუთრებით საომარი იარაღები. ისინი დიდ განძს წარმოადგენენ.

აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ხელნაწერები რიცხვით სხვა კოლექციებზე ნაკლებია, მაგრამ მათ შორის არის ისეთები, რომელთაც კოლოსალური მნიშვნელობა აქვთ ჩვენი წარსულის ისტორიისათვის. აღსანიშნავია „ვეფხის ტყაოსნის" ძველი ხელნაწერები, მათ შორის მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი 1646 წელს; იგივე გადაწერილი 1680 წელს, მეფის გიორგი XI შეკვეთით; იგივე 1671 წლისა.

დაგვიბრუნდა მთელი რიგი ოთხთავები, ზოგი მათგანი ეკუთვნის უძველესი ჩვენი ოთხთავების რიცხვს.

დაგვიბრუნდა პროკლე დიადოხის „კავშირნი" — იოანე პეტრიწის თარგმანი, უძველესი ნუსხა; ჩვენი კულტურული სიმდიდრის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი — მიქელ მოდრეკილის საგალობელნი, X საუკუნისა, და სხვანი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ის ხელნაწერები, რომლებიც სურათებით არიან შემკულნი. დიდი მნიშვნელობის მქონეა მოქვის ხელნაწერი. ზოგი მათგანი შეადგენენ ქართული ხელოვნების ისტორიის უძვირფასეს ძეგლებს.

დასასრულ მომხსენებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ეს ძეგლები თავის დროზე ნაწილობრივ უკვე იყო პირველადი მეცნიერული პუბლიკაციისა და შესწავლის საგანი, მაგრამ მათი სრული შესწავლა მომავლის საქმეა.

მოხსენების შემდეგ დამსწრეთ დაათვალიერეს გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო განძეულობის ნაწილი.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს ახალგორის განძის შესანიშნავმა ნივთებმა, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნით არიან დათარიღებულნი, თამარ მეფის გულსაკიდმა ჯვარმა და იშვიათმა მინიატიურებმა.